



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. 1

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„--6--“ ---06---- 2016 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (26 01)

2014-2015 წლების

ფინანსური აუდიტის ანგარიში N: 34/36

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	2
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	2
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები.....	4
• ბალანსზე რიცხული მოთხოვნები.....	4
• ბალანსზე რიცხული ვალდებულებები	6
• ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, რომლებიც სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში არ იმყოფება.....	7
• შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები	8
• იუსტიციის სახლების აღრიცხვის ხარვეზები.....	9
პირობითი მოსაზრება ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესახებ.....	10
პირობითი მოსაზრება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად შედგენილ ანგარიშგებაზე..	10
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	11
• ბიუჯეტის დაგეგმვა და წლიურ საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებები	11
• დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობები.	12
• დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობები	13
• 2014-2015 წლების ბიუჯეტებში განხორციელებული ცვლილებები.....	16
კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის დეპარტამენტის არარსებობა	18
„შრომის ანაზღაურების“ დაგეგმვის ნაკლოვანებები.....	19
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	23
„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულების მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა.....	24
2014-2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	29
შესყიდვების მართვის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.....	32
აუდიტის ჯგუფის წევრები:	34

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (კოდი-26 01) ფინანსური აუდიტი, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, ანგარიშს ფულადი გრანტების, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ ანგარიშს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს. ასევე მოიცავს მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსს), ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს, ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს, ორგანიზაციის ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აუდიტი მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, ანგარიშს ფულადი გრანტების, არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ ანგარიშს), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს. ასევე მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსს), ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს, ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე:

- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის #1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის;
- 2008 წლის 16 აპრილს დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #364 ბრძანების;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილს დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ #97 ბრძანების
- და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა შესაბამისად მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების

გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

- ბალანსზე რიცხული მოთხოვნები**

სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დებიტორული დავალიანება შემცირებულია 20,766.3 ათასი ლარიდან 16,769.4 ათას ლარამდე, მათ შორის სამინისტროს აპარატში (26 01) – 73.8 ათასი ლარიდან გაზრდილია 312.9 ათას ლარამდე:

მოთხოვნები	ლარებში		
	01.01.2016	01.01.2015	01.01.2014
სულ სამინისტრო	16,769,444	19,355,802	20,766,287
მათ შორის: სამინისტროს აპარატი (26 01)	312,916	259,893	73,810
სხვა საგადასახადო აქტივი	17,460	17,249	17,130
საქ. და მომს. მიღებაზე წინასწარი გადახდებით	129,360	53,688	11,955
აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	33,850	54,902	0
არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	127,383	127,383	39,862
ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	690	0
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	4,863	5,981	4,863

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული დავალიანებიდან, 61.4 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება მომდინარეობს 1996-2012 წლებიდან. აღნიშნული ხანდაზმული დავალიანებები წარმოადგენს ძირითადად ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ გადასახადებს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ჩამოწერას.

სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული 312.9 ათასი ლარის დავალიანებიდან, 2015 წელს წარმოშობილი 163.2 ათასი ლარის დავალიანება წარმოადგენს წინასწარი გადახდების შედეგს, საიდანაც 127,2 ათასი ლარის დავალიანება სამინისტროსა და სხვადასხვა ა(ა)იპ-ებს/ორგანიზაციებს შორის საგრანტო პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით წარმოქმნილი დავალიანებაა. საგრანტო პროექტების ფარგლებში მონიტორინგსა და მ/ჩ აქტების გაფორმებას ახორციელებს სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი (პროგ. კოდი 26 07). აღნიშნული დავალიანება თავისი შინაარსით არ აკმაყოფილებს

აქტივად აღიარების კრიტერიუმს, ვინაიდან, აქტივი არის „წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად ერთეულის მიერ მიღებული კონტროლირებადი რესურსი, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა“¹. შესაბამისად, დებიტორულ დავალიანებად აღიარდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის (ანგარიშის) საფუძველზე გამოვლინდებოდა შეუსრულებელი მომსახურება, ანუ დასაბრუნებელი იქნებოდა თანხები. თუმცა, ამ შემთხვევაში სამინისტრო წარმოადგენს მხოლოდ გამტარს და მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული საგრანტო თანხები გათვალისწინებული ყოფილიყო სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბიუჯეტში. შესაბამისად, დებიტორული დავალიანება ანგარიშგებაში ნაჩვენებია გაზრდილი ოდენობით.

ზემოაღნიშნული მიზნებისთვის 2014-2015 წლებში სამინისტროს (26 01) „სხვა ხარჯების“ მუხლიდან სულ გადარიცხულია 366.0 ათასი ლარი (2014წ-106.17 ათასი, 2015წ-259.87 ათასი ლარი).

დანაკლისი

2015 წლის 31 დეკემბრისათვის საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 127.4 ათასი ლარი, საიდანაც 87.5 ათასი ლარის დანაკლისი წარმოადგენს 2014 წლის 27 იანვრის #83 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგს². კერძოდ, გამოვლინდა „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ #2120 ანგარიშზე 87,521 ლარის ღირებულების 557 ცალი აქტივების დანაკლისი და ღირებულების გარეშე 57 ერთეულის ბალანსზე აღურიცხაობა. „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ #2200 ანგარიშზე იდენტიფიცირებულ იქნა ბუღალტრულ ჩანაწერებში ღირებულების გარეშე აღრიცხული 160 ერთეული მცირეფასიანი აქტივი.

ასევე, გამოვლინდა საცნობარო მუხლის „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ #10 ანგარიშზე რიცხული 457 ცალი ერთეულის დანაკლისი.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

² 2014 წლის 30 ნოემბრის ინვენტარიზაციის აქტი.

ბალანსზე რიცხული ხანდაზმული მოთხოვნები ორგანიზაციების მიხედვით

პროგრ. კოდი	დასახელება	ლარებში	
		01.01.2016	მ.წ 2012 წ. ჩათვლით
26 00	სულ სამინისტრო - მათ შორის:	16,769,440	1,020,085
26 01	სამინისტროს აპარატი	312,917	61,432
26 02	საქართველოს პროკურატურა	259,251	14,101
26 03	სსიპ "საქართველოს ეროვნული არქივი"	3,236,440	115,437
26 04	სსიპ "საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"	1,754,084	0
26 05	სსიპ "მონაცემთა გაცვლის სააგენტო"	620,765	0
26 06	სსიპ "სმართ ლოჯიკი"	1,168,305	0
26 07	სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი"	572	0
26 08	სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"	399,037	4,014
26 09	სსიპ "იუსტიციის სახლი"	1,443,489	0
26 10	სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"	75,147	21,387
26 12	სსიპ "აღსრულების ეროვნული ბიურო"	5,753,955	0
26 11	სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"	1,745,478	803,714

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი დებიტორული დავალიანების 96.59% ირიცხება სსიპ-ებზე, 1.5%-პროკურატურაზე და აპარატზე-1.87%. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 1,020.1 ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს 1996-2012 წლებიდან, საიდანაც 944.6 ათასი ლარის ხანდაზმული დავალიანება ირიცხება სსიპ-ებზე.

• ბალანსზე რიცხული ვალდებულებები

სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 4,287.4 ათასი ლარიდან 8,171.8 ათას ლარამდე. სამინისტროს აპარატის (26 01) ბალანსზე რიცხული 40.9 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება სააუდიტო პერიოდში არ შეცვლილა. აღნიშნული დავალიანება მომდინარეობს 2001-2011 წლებიდან. მთლიანი კრედიტორული დავალიანების 99.3% მოდის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ-ების (ძირითადად ბიუჯეტის გადასახდელებზე) და ყოფილი მიწის მართვის დეპარტამენტის დავალიანებებზე, რომელიც შეადგენს 1,162.5 ათას ლარს (ლიკვიდირებულია 2003 წლიდან).

ბალანსზე რიცხული ხანდაზმული ვალდებულებები ორგანიზაციების მიხედვით

		ლარებში	
პროგრ. კოდი	დასახელება	01.01.2016	მ.წ 2012 წ. ჩათვლით
26 00	სულ სამინისტრო - მათ შორის:	8,171,831	1,497,994
26 01	სამინისტროს აპარატი	40,868	40,868
26 02	საქართველოს მთავარი პროკურატურა	16,117	16,091
26 03	სსიპ "საქართველოს ეროვნული არქივი"	285,793	251,529
26 04	სსიპ "საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"	142,540	0
26 05	სსიპ "მონაცემთა გაცვლის სააგენტო"	125	0
26 06	სსიპ "სმართ ლოჯიკი"	0	0
26 07	სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი"	14,358	0
26 08	სსიპ "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"	3,730,442	0
26 09	სსიპ "იუსტიციის სახლი"	187,057	0
26 10	სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"	7,432	559
26 12	სსიპ "აღსრულების ეროვნული ბიურო"	2,471,215	0
26 11	სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"	113,408	26,470
	ყოფილი მიწის მართის დეპარტამენტი	1,162,477	1,162,477

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან 1,498.0 ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს 1996-2012 წლებიდან, საიდანაც 278.6 ათასი და 1,162.5 ათასი ლარის ხანდაზმული დავალიანებები ირიცხება შესაბამისად სსიპ-ებსა და ყოფილ მიწის მართვის დეპარტამენტზე.

- **ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, რომლებიც სამინისტროს ფაქტობრივ სარგებლობაში არ იმყოფება**

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იუსტიციის სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხებოდა 2009-2010 წლებში გადმოცემული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, რომელთა დანიშნულება პასუხისმგებელი პირების განმარტებით მათთვის არ არის ცნობილი. შესაბამისად, აღნიშნული შენობა-ნაგებობების სამინისტროს აპარატის ბალანსზე არსებობა (ფაქტიური საჭიროება) დაუსაბუთებელია. აღნიშნული საკითხი წინა აუდიტის ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული:

- 1) ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. #116, ორსართულიანი შენობა, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება #1, 17.02.09 (არასასოფლო-სამ. ნაკვეთის ფართი 3544,18 კვ.მ, შენობის ფართი 1241კვ.მ)- გადმოცემის თარიღი-16.03.09;
- 2) ქ.ხაშური, კოსტავას ქ. #11, მიწის ნაკვეთი 763 კვ.მ, მასზე განთავსებული შენობა 455 კვ.მ, ავტოფარეხი 225,39 კვ.მ, #3 ფართით 54,71 კვ.მ გადმოცემის თარიღი-23.12.09;

- 3) ლანჩხუთი, თბილისის ქ. #5, ორსართულიანი შენობა, საერთო ფართი 670.2 კვ.მ-გადმოცემის თარიღი 27.07.09;
- 4) ქ. თეთრიწყარო, ჭავჭავაძის ქ. #2, ორსართულიანი შენობა, 1192,9 კვ.მ- გადმოცემის თარიღი 16.04.10;
- 5) ქ. ფოთში, ლოლუას ქ. #7 მიწის ნაკვეთს (1810 კვ.მ) შენობა-ნაგებობით (853,7 კვ.მ) - გადმოცემულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ 28.04.09წ.

ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობებიდან ქ. თერჯოლის ორსართულიანი შენობა 2015 წელს გადაეცა ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტს, ხოლო ქ. თეთრიწყაროს და ქ. ფოთის შენობები - სსიპ "სახ. ქონების ეროვნულ სააგენტოს".

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იუსტიციის სამინისტროს აპარატის ბალანსზე კვლავ ირიცხება 2009-2010 წლებში გადმოცემული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები ქ. ხაშურსა და ლანჩხუთში, რომლის ფაქტიური მოსარგებლე დაუსაბუთებელია.

- **შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები**

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 2009 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 27 ნოემბრის #1-1/2731 ბრძანების თანახმად იუსტიციის სამინისტროზე უსასყიდლოდ გადაცემული ქ.ხაშურში, კოსტავას ქუჩა #11-ში მდებარე 763 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა #1 სართო ფართით 455 კვ.მ, #2 ავტოფარეხი ფართით 225.39 კვ.მ, #3 საერთო ფართით 54.71 კვ.მ. სულ ღირებულებით- 35,503 ლარი (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #69.08.58.036). მთლიანი ღირებულებიდან არ არის გამიჯნული მიწისა და შენობის ღირებულებები - შესაბამისად ცვეთა ერიცხება შენობა-ნაგებობას არაწარმოებულ აქტივთან ერთად. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი, „იმ შემთხვევაში, როდესაც მიწა შეძენილია შენობებთან, სხვა ნაგებობებთან და კულტივირებულ აქტივებთან ერთად, აღნიშნული აქტივები უნდა შეფასდეს და აღირიცხოს ცალ-ცალკე“³.

ანალოგიურად, არ არის გამიჯნული მიწისა და შენობა-ნაგებობის ღირებულება 2014 წლის 9 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტროდან გადაცემული ქ.მარნეულში, რუსთაველის ქ.#1, შენობა-ნაგებობა 2808.53 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 83.02.17.330) სულ საწყისი საბალანსო ღირებულებით 4,949,751.77 ლარი, რომელიც 2015 წლის 16 მარტს გადაცემულია სსიპ-იუსტიციის სახლისთვის.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია. მუხლი 34, პუნქტი 35.

- იუსტიციის სახლების აღრიცხვის ხარვეზები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს (26 01) ბალანსზე ირიცხება 8,097.8 ათასი ლარის „დაუმთავრებელი აქტივი“, საიდანაც 7,903.01 ათასი ლარის აქტივი უკავშირდება იუსტიციის სახლების მშენებლობებს, რომლებიც გარდა სამინისტროს აპარატისა, განხორციელებულია სამინისტროს სისტემის სხვადასხვა სუბიექტის მიერ (სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ). რეალურად სამინისტროს მიერ „დაუმთავრებელ აქტივად“ აღიარებული იუსტიციის სახლებზე გაწეული სამუშაოები არ წარმოადგენს დაუმთავრებელ მშენებლობებს, ვინაიდან ისინი უკვე ფუქციონირებენ სრული დატვირთვით და სახლების უმრავლესობა დარეგისტრირებულია როგორც სახელმწიფო ქონება. შესაბამისად, მოსაგვარებელია იუსტიციის სახლების აღრიცხვიანობის (სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ გადაცემის) და რიგ შემთხვევებში უძრავი ქონების სახელმწიფო რეგისტრაციის საკითხები. აღნიშნული საკითხი წინა აუდიტის ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული, რაც აუდიტის მიმდინარეობისასაც მოგვარებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, 2016 წლის 14 იანვრის #238 წერილით, სამინისტრო ატყობინებს სსიპ „იუსტიციის სახლს“, რათა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართონ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“. აღნიშნული წერილით სამინისტრო ასევე ატყობინებს სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხულ სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ გადასაცემი 7,903.01 ათასი ლარის ქონების შესახებ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით:

#	ი/სახლი	საბ. ღირ-ბა
1	გურჯაანის იუსტიციის სახლი	2.55
2	ყვარლის იუსტიციის სახლი	70.00
3	მესტიის იუსტიციის სახლი	216.86
4	ქუთაისის იუსტიციის სახლი	1,152.31
5	თბილისის იუსტიციის სახლი	1,819.52
6	ბათუმის იუსტიციის სახლი	866.93
7	ოზურგეთის იუსტიციის სახლი	88.44
8	თელავის იუსტიციის სახლი	2,479.21
9	ახალციხის იუსტიციის სახლი	298.64
10	მარნეულის იუსტიციის სახლი	908.55
სულ		7,903.01

2015 წლის 25 სექტემბრის #1303 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული აქტივებისა და ვალდებულებების, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგებისა და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით. ინვენტარიზაციის პერიოდი განისაზღვრა 2015 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 25 დეკემბრამდე. ინვენტარიზაცია მიმდინარეობდა შემოწმების პერიოდშიც (2016 წლის აპრილი). ინვენტარიზაციის დაუსრულებლობის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ მიმდინარეობდა წინა წლის ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი დანაკლისების დაზუსტება, რომელთა უმეტესობა განლაგებულია სამინისტროს სხვადასხვა ორგანიზაციებში. შესაბამისად, ინვენტარიზაციის დასრულებამდე სამინისტროს აპარატზე რიცხული აქტივების ფაქტობრივ არსებობაზე რწმუნება ვერ მოვიპოვეთ.

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, უმოკლეს ვადაში იგეგმება ყველა არასაჭირო შენობის ეკონომიკის სამინისტროსთვის დაბრუნება და სსიპ „იუსტიციის სახლისთვის“ „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ #2141 საბ. ანგარიშზე აღრიცხული ქონების გადაცემა.

პირობითი მოსაზრება ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესახებ

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, წარმოდგენილი 2014 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია 2008 წლის 16 აპრილს დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #364 ბრძანების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილს დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ #97 ბრძანების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად შედგენილ ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, წარმოდგენილი 2015 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია 2014 წლის 31 დეკემბერს დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ #429 ინსტრუქციის დანართების შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

• ბიუჯეტის დაგეგმვა და წლიურ საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებები

2014-2015 წლების დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები პროგრამების განმახორციელებელი (განმკარგავი) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)	2015წ.					2014წ.				
დასახელება	დამტკ- ლი	დაზუს- ტ-ლი	გადახ- და	3/2- %- ში	4/3- %- ში	დამტკ- ლი	დაზუს- ტ-ლი	გადახ- და	8/7- %- ში	9/8- %- ში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
26 00 -იუსტიციის სამინისტრო	66,114	93,124	95,101	141	102	60,500	69,414	68,235	115	98
26 01 -სამინისტრო (აპარატი)	8,100	33,635	33,490	415	100	8,800	16,174	15,031	184	93
26 02 -საქ. პროკურატურა	34,500	35,191	34,924	102	99	32,500	34,320	34,254	106	100
26 03- სსიპ - საქ.ეროვნული არქივი	7,500	7,700	7,629	103	99	5,500	5,470	5,261	99	96
26 04- სსიპ - საქ.იუსტ. სას. ცენტრი	1,950	2,201	2,155	113	98	3,500	3,426	3,185	98	93
26 05- სსიპ - მონაც. გაცვ. სააგენტო	2,430	2,360	2,333	97	99	2,700	2,437	2,135	90	88
26 06 -სსიპ - სმართ ლოჯიკი	2,450	2,442	2,442	100	100	2,000	2,493	2,320	125	93
26 07 -სსიპ - დანაშ. პრეც. ცენტრი	1,315	1,315	1,506	100	115	1,500	1,246	1,105	83	89
26 08 -სსიპ - სახ. სერვ. განვ.სააგ.	5,300	6,223	9,741	117	157	1,000	896	2,767	90	309
26 09 -სსიპ - იუსტიციის სახლი	500	500	497	100	99	1,000	982.5	442.5	98	45
26 10 -სსიპ - საქ.საკანონმ. მაცნე	900	388	384	43	99	0	0	0	0	0
26 14- სსიპ - საჯ. რეესტ. ერ. სააგ.	1,169	1,169	0	100	0	2,000	1,972	1,733	99	88

2015 წლის თავდაპირველად დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები (68,500 ათასი ლარი) კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემცირებულია 3,555 ათასი ლარით და შეადგინა 64,945 ათასი ლარი (1,169 ათასი ლარის კრედიტის გარეშე), რაც თითქმის 2015 წლის საბიუჯეტო განაცხადით წარდგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების - 65,000 ათასი ლარის ტოლია.

2015 წლის წლიურ საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 66,114 ათასი ლარი. აქედან 1,169 ათასი ლარი წარმოადგენს „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის (26 14) განსახორციელებლად მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სახელმწიფოსათვის გამოყოფილ სესხს⁴, საიდანაც სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტის ფარგლებში ათვისებული იქნება 2,405,900 აშშ დოლარი. პროექტის განხორციელების ვადა შეადგენს 30 თვეს.

⁴ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 12 დეკემბრის #2957-ლს დადგენილებით (გამოყოფილია 50 მლნ. აშშ დოლარი).

აღნიშნული ცვლილებები (3,555 ათასი ლარით ასიგნებების შემცირება) განხორციელდა „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის მიზნით⁵ სამინისტროს ასიგნებები შემცირებულია 1,000 ათასი ლარით⁶. ასევე, რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე გავლენის შესაბამისად, მთავრობის დავალებით სამინისტროს ასიგნებები შემცირებულია 2,555 ათასი ლარით⁷.

- **დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობები.**

დაზუსტებულ გეგმასა და გადახდას შორის შეუსაბამობა (15%-ზე მეტი) დაფიქსირდა (2014 წელს - 309%, 2015 წელს-157%) „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ პროგრამის ფარგლებში (26 08), რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დაზუსტებულ გეგმაში მიზნობრივი გრანტი არ არის გათვალისწინებული, ხოლო გაწეული საკასო ხარჯი ასახულია ბიუჯეტის შესრულებაში - 3,650 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წელს „დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამების“ (26 07) ფარგლებში შეუსაბამობა (115%) მიზნობრივი გრანტის საკასო ხარჯში ასახვითაა გამოწვეული. 2014 წელს შეუსაბამობა (45%) დაფიქსირდა ასევე, „იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ პროგრამის (26 10) ფარგლებში, რაც გამოწვეულია ბათუმის და ახალციხის იუსტიციის სახლებისთვის ჩილერების შეძენასთან დაკავშირებული ექსპერტიზის პროცედურების დროში გახანგრძლივებით, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებული სახსრების ათვისება ვერ მოხერხდა წლის ბოლომდე.

რაც შეეხება 2015 წელს „მიწის ბაზრის განვითარება (WB)“ პროგრამის (26 14) ფარგლებში გამოყოფილი კრედიტის აუთვისებლობას, რომელსაც ახორციელებს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, აღნიშნული პროექტის დაწყება დამოკიდებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის მიღებაზე.

⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის #706 განკარგულება.

⁶ 2015 წლის 14 აპრილის #461 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა (07.04.15 #2750 სამინისტროს წერილი).

⁷ 2015 წლის 3 აგვისტოს #1068 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა (22.06.15 #4920 სამინისტროს წერილი).

- დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობები

დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის შეუსაბამობა (30%-ზე მეტი) - 2015 წელს დაფიქსირდა (57%) „ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება“ პროგრამის (26 10) ფარგლებში, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2015 წლის ნოემბრამდე მიმდინარეობდა მთარგმნელთა გადამზადება და შემდგომ პერიოდში დაიწყო პროექტის აქტიური ფაზა. შესაბამისად, ვერ იქნა ათვისებული სრული რესურსი.

შეუსაბამობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სამინისტროს „სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება“ პროგრამის (26 01) ფარგლებში (2014 წელს-184% და 2015 წელს-315 %), რაც გამოწვეულია საერთო დანიშნულების სახელმწიფო ფონდებიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე სახსრების გამოყოფით (სულ 33,396.3 ათასი ლარი. მ.შ: 2014 წელს- 7,466.3 ათასი და 2015 წელს-25,930 ათასი ლარის გამოყოფით). კერძოდ:

2014 წელს

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის #2102 განკარგულებით ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მხარესა და კომპანია „Polestar Compania Maritima S.A.“-ს შორის გაფორმებული მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფინანსების მიზნით გამოყოფილია 3,411.8 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი - 6,347.2 ათასი ლარი. თანხა გადარიცხულია 2014 წლის 3 დეკემბერს.

აღნიშნული საქმე უკავშირდება 1996 წლის 24 იანვარს, სახელმწიფო ჰოლდინგ „გრუზნეფტპროდუქტსა“ და პანამურ კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც „პოლესტარი“ „გრუზნეფტპროდუქტს“ მიაწოდებდა ბენზინს, რის სანაცვლოდაც „გრუზნეფტპროდუქტი“ გადაიხდიდა შესაბამის თანხას. პოლესტარმა „გრუზნეფტპროდუქტს“ საქონელი მიაწოდა, „გრუზნეფტპროდუქტმა“ პოლესტარს მიწოდებული საქონლის ღირებულების მხოლოდ ნაწილი გადაიხადა.

2. სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოებისა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელებისა და იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის #403 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 497.2 ათასი ლარი.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვადასხვა საქმეებზე⁸ გამოტანილი განჩინებების/განკარგულებების აღსრულების მიზნით გამოყოფილია 621.8 ათასი ლარი.

2015 წელს

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #87 განკარგულებით 2015 წლის 16 იანვარს საქართველოს მხარესა და ლიტვურ კონცერნ „ACHEMOS GRUPE UAB“-ს შორის გაფორმებული მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაფინანსების მიზნით გამოყოფილია 5,916.7 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი - 11,793.7 ათასი ლარი. თანხა გადარიცხულია 2015 წლის 4 თებერვალს.

აღნიშნული საქმე უკავშირდება 2008 წლის 19 დეკემბერს, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ გაკოტრების საქმის წარმოების შედეგად, გაკოტრების მმართველსა და ლიტვურ კონცერნ „ახემა გრუპს“ შორის დადებულ გაკოტრებული სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მთლიანი ქონების (9,150,000.0 აშშ დოლარი) შესყიდვის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ 100%-იანი წილის მფლობელად დარეგისტრირდა ლიტვური კონცერნი „ახემა გრუპი“.

2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის #2697 განკარგულებით 2015 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მხარესა და „Raiffeisen Bank International AG“-ს შორის მორიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის (25,000 ათასი აშშ დოლარი) პირველი ტრანშის დაფინანსების მიზნით გამოყოფილია 5,000 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი - 11,991.5 ათასი ლარი. თანხა გადარიცხულია 2015 წლის 22 დეკემბერს. მეორე ტრანშის - 10,000 ათასი აშშ დოლარის გადარიცხვა გრაფიკის მიხედვით უნდა განხორციელდეს 2016 წლის 15 თებერვლამდე⁹, ხოლო მესამე ტრანშის - 10,000 ათასი აშშ დოლარის - 2017 წლის 17 თებერვლამდე.

აღნიშნული საქმე უკავშირდება 1998 წლის 21 აგვისტოს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოსა“ და კომპანია „Anglo Oil International Ltd“-ს შორის გაზისა და საწვავის შესყიდვის შესახებ გაფორმებულ #173 კონტრაქტს.

3. სახელმწიფოს საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების წარმოებისა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელებისა და იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის #596 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1,395 ათასი ლარი.


⁸ სხვადასხვა ფიზიკური პირები საქართველოს წინააღმდეგ.

⁹ გადარიცხულია 2016 წლის 5 თებერვალს.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სხვადასხვა საქმეებზე¹⁰ გამოტანილი განჩინებების/განკარგულებების აღსრულების მიზნით ასევე გამოყოფილია 749.8 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წელს სამინისტროს (პროგ. კოდი 26 01) მთლიან დაფინანსებაში, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 50% ფიქსირდება იმ მუხლებზე („საქონელი და მომსახურება“-14.03%; „სხვა ხარჯები“-98.08% და „ვალდებულებების კლება“ - 100.00%), რომლებიც დაკავშირებულია არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინვესტიციო და ქონებრივ დავებთან, შეტანილ სარჩელებზე წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების ეფექტიანად დაცვის მიზნით იურიდიულ მომსახურების შესყიდვებთან, რისთვისაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილია **7,466.28** ათასი ლარი. იხ. დიაგრამა

26 01 გადასახდელები - 15,031 ათასი ლარი - 2014წ.




ანალოგიურად, 2015 წელს სამინისტროს (პროგ. კოდი 26 01) მთლიან დაფინანსებაში, ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 77.42% ფიქსირდება იმ მუხლებზე („საქონელი და მომსახურება“-32.78%; „სხვა ხარჯები“-98.82% და „ვალდებულებების კლება“ - 100.00%), რომლებიც დაკავშირებულია არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინვესტიციო და ქონებრივ დავებთან, შეტანილ სარჩელებზე წარმომადგენლობის უზრუნველყოფისა და მისი ინტერესების ეფექტიანად დაცვის მიზნით

¹⁰ სხვადასხვა ფიზიკური პირები საქართველოს წინააღმდეგ.

იურიდიულ მომსახურების შესყიდვებთან, რისთვისაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილია 25,930 ათასი ლარი. იხ. დიაგრამა

26 01-გადასახდელები - 33,490 ათასი ლარი - 2015წ.



- **2014-2015 წლების ბიუჯეტებში განხორციელებული ცვლილებები**

მიუხედავად 2015 წლის თავდაპირველად დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების 3,555 ათასი ლარით შემცირებისა, ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა პროგრამის ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების როგორც პროგრამის შიდა, ასევე სხვადასხვა პროგრამებზე გადანაწილებას. რიგ შემთხვევებში, 2014-2015 წლებში გადანაწილების დასაბუთების წერილებში არ არის მითითებული, თუ რომელი აქტივობების (ღონისძიებების) ხარჯზე განხორციელდა საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება¹¹. რიგ შემთხვევებში კი გადანაწილებული აქტივობების გათვალისწინება შესაძლებელი იყო დაგეგმვის ეტაპზე, მაგალითად:

o „საქართველოს მთავარი პროკურატურის“ ქვეპროგრამის (26 02 01) ასიგნებების ფარგლებში, მთავარი პროკურატურის თანამშრომელთა დაზღვევის, მასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადისა და დასუფთავების მოსაკრებლის დაფინანსების მიზნით „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებიდან

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #637 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. დანართი #1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

(შესაბამისად 55.1 ათასი და 11.9 ათასი ლარი) გადატანილია 67.0 ათასი ლარი „სხვა ხარჯების“ მუხლში¹². ანალოგიურად, იმავე ქვეპროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 150.0 ათასი ლარის გადატანილია „არაფინანსური აქტივების“ ზრდის მუხლში¹³.

o სსიპ „დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის“ (26 07) ასიგნებების ფარგლებში „საქონელი და მომსახურების“ მუხლთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლიდან 2014 წლის 27 აგვისტოს და 10 სექტემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების¹⁴ მიხედვით სხვადასხვა მუხლში გადატანილია 41.5 ათასი ლარი, ხოლო 12 დეკემბერს 56.0 ათასი ლარი „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გადატანილია ისევ „საქონელი და მომსახურების“ მუხლში¹⁵.

o „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ პროგრამის (26 08) ფარგლებში, სიღნაღის ქორწინების სახლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 20 ათასი ლარი გადატანილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში¹⁶;

o „ელექტრონული მმართველობის განვითარება“ პროგრამის (26 05) ფარგლებში სააგენტოს სათაო ოფისის მშენებლობისთვის საპროექტო სამუშაოების შეძენისა და მშენებლობის დაწყების დაფინანსების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებიდან 101.5 ათასი ლარი¹⁷ (შესაბამისად 65 ათასი და 36.5 ათასი ლარი) გადატანილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში;

o „ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება“ პროგრამის (26 06) ფარგლებში, სასერვერო ოთახის მშენებლობისა და აღჭურვის დასრულების, ასევე პროექტის ერთიანი სახელმწიფო ქლაუდის (დრუბლოვანი ტექნოლოგია) სრულად განხორციელებისათვის დამატებითი ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯების დაფინანსების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში გადატანილია 149.6 ათასი ლარი¹⁸, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო წლის ბიუჯეტში;

¹² ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #470-30.05.14წ.

¹³ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #1347-16.12.14წ.

¹⁴ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა ##800,857

¹⁵ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #1335-12.12.14წ.

¹⁶ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #480-16.04.15წ.

¹⁷ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #799-16.06.15წ.

¹⁸ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #1133 - 15.08.15წ.

o „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა“ პროგრამის (26 08) ფარგლებში, ჩაქვის საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის, საზოგადოებრივი ცენტრების ტოპო და გეოლოგიური მომსახურებისა და ლილოს არქივის მშენებლობის ექსპერტიზის ღირებულების, ასევე სააგენტოს შეუფერხებელი ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საჭირო გახდა 100 ათასი ლარის მობილიზება (74.5 ათასი ლარის სამინისტროს აპარატის და 25.5 ათასის-სსიპ საკანონმდებლო მაცნეს ასიგნებებიდან), რომლის გათვალისწინებაც ასევე შესაძლებელი უნდა ყოფილიყო წლის ბიუჯეტში;

o გარდა ამისა, იმავე პროგრამის ფარგლებში - ბიომეტრიული პასპორტების შესყიდვის კონტრაქტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ანაზღაურების, პირადობის მოწმობის საბეჭდი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების და საზოგადოებრივი ცენტრების სამშენებლო სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად, საჭირო გახდა 822.9 ათასი ლარის მობილიზება სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვადასხვა პროგრამებიდან¹⁹.

კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის დეპარტამენტის არარსებობა

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 2010 წლის 26 მარტს მიღებული საქართველოს კანონით, საქართველოს სამინისტროებს დაევალოთ შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა²⁰. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის #389 დადგენილებით, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დაემატა შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის #4 ბრძანებით.

მიუხედავად დაგვიანებით მიღებული ზემოაღნიშნული რეგულაციებისა, აუდიტის მიმდინარეობისას (2016 წლის აპრილი) იუსტიციის სამინისტროში, შიდა აუდიტის დეპარტამენტი ფაქტობრივად ცალკე სუბიექტად ჩამოყალიბებული არ ყოფილა. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული დეპარტამენტის შექმნის მიზნით, კონკურსი გამოცხადდა ორჯერ, კერძოდ:

დეპარტამენტის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად 2014 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით, სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 22 დეკემბრის სხდომის ოქმის თანახმად, კონკურსზე

¹⁹ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები: #1722 - 09.12.15წ.; #1788-21.12.15წ.

²⁰ „სახელმწიფო შიდა აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 4. პუნქტი 1- „ა“ ქვეპუნქტი.

წარმოდგენილი 59 განაცხადიდან პირველ ეტაპზე²¹ - პროფესიული ტესტირებისთვის შეირჩა 12 კანდიდატი, საიდანაც კონკურსის შემდეგ ეტაპზე - ინდივიდუალურ გასაუბრებაზე²² დაბარებულ იქნა 3 კანდიდატი. გასაუბრებისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან კანდიდატებმა ვერ დააგროვეს საკმარისი ქულები, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ჩაშლილად გამოცხადებინა კონკურსი.

2015 წლის 20 ოქტომბერს კვლავ გამოცხადდა კონკურსი დეპარტამენტის უფროსისა და აუდიტორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად. 2016 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმის თანახმად, ვინაიდან განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან 3 თვის ვადაში²³ ვერ მოხერხდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპების ჩატარება, კომისიის მიერ ორივე თანამდებობასთან მიმართებაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე. სხდომის ოქმში მითითებული არ არის მიზეზი, თუ რატომ ვერ მოხერხდა აღნიშნულ ვადაში კანდიდატების შერჩევა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 19 მაისის #3863 წერილით ირკვევა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership-OGP) კონფერენციის ორგანიზების ფარგლებში საჭირო გახდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში 50 ათასი ლარის გადატანა. ასიგნების გადანაწილება განხორციელებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან²⁴. დასაბუთების წერილში მითითებულია, რომ „სამინისტროში შექმნილი ახალი დეპარტამენტის (შიდა აუდიტის დეპარტამენტი) უფროსისათვის 2015 წელს დაგეგმილი იყო პერსონალური დანიშნულების ავტომობილის შეძენა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დეპარტამენტის დაკომპლექტება დღემდე არ განხორციელებულა, ავტომობილის შესყიდვის აუცილებლობა ამ ეტაპზე არ არსებობს“. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ მუხლში შიდა აუდიტის დეპარტამენტის ასიგნებები გათვალისწინებული არ ყოფილა.

„შრომის ანაზღაურების“ დაგეგმვის ნაკლოვანებები

2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით თავდაპირველად დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შემცირებულია (გარდა, პროკურატურისა-გაზრდილია 930 ათასი ლარით²⁵) 2,538 ათასი ლარით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლი დაგეგმილი იყო გაზრდილი ოდენობით.

²¹ 2014 წლის 28 ნოემბერი.

²² 2014 წლის 19 დეკემბერი.

²³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტი.

²⁴ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა #692 – 22.05.2015წ.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის #91 განკარგულება - მთავარი პროკურატურის საშტატო ნუსხის შესახებ.

სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალი ორგანიზაციების მიხედვით 2014 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული გადასახდელები შეადგენდა 35,659 ათას ლარს, მათ შორის აპარატის (კოდი 26 01) - 4,068 ათას ლარს. სამინისტროს, 2015 წლის ბიუჯეტის კანონით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაუმტკიცდა 39,969 ათასი ლარის ასიგნება, მათ შორის სამინისტროს აპარატზე - 5,192 ათასი ლარი. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით სამინისტროს (26 01) „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შემცირებულია 1,063 ათასი ლარით და დაზუსტდა 4,129 ათას ლარამდე (ასევე შემცირებულია: (26 04) კოდზე-382 ათასი; (26 05)-ზე-173 ათასი; (26 06)-ზე-648 ათასი; (26 07)-ზე 219 ათასი და (26 10)-ზე 28 ათასი ლარით). აღნიშნული მიუთითებს „შრომის ანაზღაურების“ ფონდის გაზრდილი ოდენობით დაგეგმვაზე შემდგომში სხვა მუხლებსა და სამინისტროს სისტემის სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადასანაწილებლად, ასევე პრემიებისა და დანამატების გასაცემად.

სამინისტროს (26 00) 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან „შრომის ანაზღაურების“ (38,343 ათასი ლარი) მუხლით გაწეული გადასახდელები 2014 წელთან შედარებით (35,659 ათასი ლარი) გაზრდილია 2,683 ათასი ლარით. მათ შორის „სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება“ პროგრამის (26 01) ფარგლებში 51.1 ათასი ლარით.

26 01 - სამინისტროს აპარატი

ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი 2015 წლის განაცხადის მიხედვით სამინისტროს აპარატის (26 01) მოსამსახურეთა რიცხოვნობა ჭერის ფარგლებში განსაზღვრული იყო 250 ერთეულით 5,322 ათასი ლარის შრომის ანაზღაურების ფონდით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული იქნა 5,192 ათასი ლარის შრომის ანაზღაურების ფონდი 230 ერთეულზე. დამტკიცებული 230 ერთეული საშტატო ნუსხის ფარგლებში, ვაკანსიების საშუალო ოდენობა შეადგენდა 79 ერთეულს. 2014 წელს დამტკიცებული 316 ერთეული საშტატო ნუსხის ფარგლებში, ვაკანსიების საშუალო ოდენობა შეადგენდა 159 ერთეულს.

პრემიის და დანამატის (ჯამური) ხელფასთან თანაფარდობა 2014-2015 წლებში მერყეობს შესაბამისად 34%-135%-ის და 34%-131%-ის ფარგლებში (დეკემბრის თვის გაუთვალისწინებლად). გასულ წელთან მიმართებაში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა თვეების მიხედვით წარმოდგენილია როგორც ცხრილის, ასევე დიაგრამის სახით:


2015წ-თვეები	ათას ლარებში												წლ-რი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
შრ. ანაზღ-ბა	282	281	266	461	282	278	484	283	294	284	456	469	4,119
ხელფასი	207	201	193	199	205	205	210	209	220	210	205	202	2,467

პრემია	2	7	6	189	10	1	203	3	3	5	183	198	810
დანამატი	73	73	66	72	67	71	71	71	71	70	69	69	842
პრემია +დანამატი	75	80	72	261	77	72	274	74	74	75	251	267	1,652
%	36	40	37	131	38	35	130	35	34	36	123	132	67


2014წ-თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ-რი
შრ. ანაზღ-ბა	279	272	268	475	283	293	332	295	286	282	280	722	4,068
ხელფასი	208	203	200	202	210	208	211	208	208	199	199	206	2,461
პრემია	68	66	66	270	71	83	48	16	7	0	0	440	1,135
დანამატი	3	2.71	3	3	3	3	73	71	71	84	81	76	472
პრემია +დანამატი	71	69	68	273	74	85	122	87	78	84	81	516	1,607
%	34	34	34	135	35	41	58	42	37	42	41	250	65

2015 წელს პრემიების და დანამატების მოცულობის დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამის სახით:

პრემიებისა და დანამატების დინამიკა - 2014წ.



პრემიებისა და დანამატების დინამიკა - 2015წ



2014 წელთან შედარებით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გახარჯული სახსრები გაზრდილია 51.1 ათასი ლარით (1.26 %). სხვაობა განპირობებულია სამინისტროს დებულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ახალი ფუნქციის და კომპეტენციის მქონე დეპარტამენტის დაკომპლექტებით (ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი). შედეგად, 2015 წლის განმავლობაში „დანამატის“ ქვემუხლი 370 ათასი ლარითაა (78.37%) გაზრდილი, ხოლო „პრემიის“ ქვემუხლი შემცირებულია 325 ათას ლარით (40.13%)²⁶.

2015 წელს პრემიის საშუალოთვიური ოდენობა შეადგენდა 68 ათას ლარს, ხოლო დანამატის-70 ათას ლარს, მაშინ როდესაც, 2014 წლის ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად, 95 ათასი და 39 ათასი ლარის ტოლია. ზემოაღნიშნულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის #449 დადგენილებით მართალია შეიზღუდა „პრემიის“ ქვემუხლით გაცემული თანხების მოცულობა, თუმცა მკვეთრად გაიზარდა „დანამატის“ ქვემუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ოდენობა.

წლის განმავლობაში ფულადი განაცემის (შრომის ანაზღაურება) მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 73,460 ლარს, მათ შორის პრემიისა და დანამატის (ჯამური) მაქსიმალური ოდენობა-46,480 ლარს (1.7-ჯერ მეტი თ/სარგოზე). პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობა 4 შემთხვევაში თ/სარგოზე გადამეტებულია 1.9-ჯერ. რიგ შემთხვევებში (107) ადგილი ჰქონდა ერთჯერადად დარიცხული პრემიის გადამეტებას თანამდებობრივ სარგოზე (32 ლარიდან 800 ლარამდე).

სამინისტროს აპარატში (26 01) თანამშრომლებზე დანამატის დანიშვნა ხორციელდება უფლებამოსილი პირის ერთი ბრძანების საფუძველზე (#88). აღნიშნულ ბრძანებაში საკადრო ცვლილებებიდან გამომდინარე ყოველთვიურად ხდებოდა ცვლილებების შეტანა. დანამატების დანიშვნის საფუძველად მითითებულია მოსამსახურეების წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებისა და მოზიდვის ხელშეწყობისათვის, ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მიმდინარე საფინანსო წლის განმავლობაში (2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატის დაწესება.

გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა დანამატები, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან და სამუშაოს ცვალებადი მოცულობიდან გამომდინარე, პირველი 9 თვის

²⁶ 2014 წლის ბოლოს შეიქმნა ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი 6 საშტატო ერთეულით. 2015 წლის განმავლობაში მათზე დარიცხულია სულ 175 ათასი ლარი (თ/ს-99.8 ათასი, პრემია-31.3 ათასი, დანამატი-43.5 ათასი ლარი).

განმავლობაში განისაზღვრებოდა ყოველთვიურად, ხოლო ბოლო 3 თვის განმავლობაში - სექტემბერში გამოცემული ბრძანების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში ერთი და იმავე თანამშრომლებზე ერთი და იგივე ოდენობის დანამატების სისტემატიურად დაწესება, მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ თანამშრომლებზე განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ოდენობები არარეალურია.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

„საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 2014-2015 წლებში გაწეულია 562.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი (2014წ-273.3 ათასი, 2015წ-289.3 ათასი ლარი).

საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით 2014-2015 წლებში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 45 ერთეულით ²⁷. ფაქტობრივად მომუშავეთა რაოდენობამ შეადგინა 27 ერთეული.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მიხედვით (დანიშვნის ბრძანებებით) ირკვევა, რომ ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურე მიღებულია/დანიშნულია 2006, 2009, 2013 წლებიდან - რეფორმების კოორდინატორად, დეპარტამენტის მრჩეველად, გენერალური ინსპექციის სპეციალისტად, დეპარტამენტის ინგლისურენოვანი საიტის რედაქტორად და სხვა. მაშინ როდესაც, სამინისტროში მნიშვნელოვანი ვაკანსიებია.

მოქმედი წესების მიხედვით კი შტატგარეშე მოსამსახურე გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად²⁸, თუმცა ზემოაღნიშნული შტატგარეშე მოსამსახურეები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი 10 სსიპ-დან, 2015 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები ვრცელდება 6 საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე: სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივზე“, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოზე“, სსიპ „სმართ ლოჯიკაზე“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრზე“, სსიპ „საკანონმდებლო

²⁷ საქართველოს მთავრობის #312- 08.04.13 განკარგულება.

²⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნა.

მაცნესა“ და სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრზე“, რომლებზედაც დაშვებულია გამონაკლისები საქართველოს მთავრობის განკარგულებით²⁹. ასევე, გამონაკლისები დაშვებულია სამინისტროს აპარატსა და საქართველოს პროკურატურაზე³⁰. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სამინისტროს სისტემაში მოქმედი ორგანიზაციის ხელმძღვანელების თანამდებობრივი სარგოები მნიშვნელოვნად აღემატება არა მხოლოდ მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს (2 950 ლარს), არამედ მინისტრის თანამდებობრივ სარგოსაც (გარდა სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრისა“ და სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“).

ინფორმაცია სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანამდებობრივი სარგოების შესახებ:

კოდი	დასახელება	თ/სარგო
26 00	იუსტიციის სამინისტრო	3540
26 01	სამინისტროს აპარატი	
26 02	საქართველოს პროკურატურა	3910
26 03	სსიპ - საქ. ეროვნული არქივი	3840
26 04	სსიპ - საქ.იუსტიციის სასწავლო ცენტრი	3400
26 05	სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	5800
26 06	სსიპ - სმართ ლოჯიკი	5800
26 07	სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი	3800
26 10	სსიპ - საქ. საკანონმდებლო მაცნე	3500
26 12	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	5800
26 09	სსიპ - იუსტიციის სახლი	4550
26 11	სსიპ - საჯარო რეესტ ერ. სააგენტო	4700
26 08	სსიპ - სახ.სერვ. განვ. სააგენტო	5800

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულების მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა.

- 2014-2015 წლების გადასახდელების შედარება**

(ათას ლარებში)	ბიუჯეტი		
დასახელება	გადახდა- 15წ.	გადახდა- 14წ.	(+ზრდა,-

²⁹ #63 -15.01.13; #312- 08.04.13; #1092 -20.08.13; #2212 -31.12.13; #1734- 29.09.14; #161 -11.02.15

³⁰ #312- 08.04.13; #161 -11.02.15.

			კლება)
26 00 - იუსტიციის სამინისტრო	95,101	68,235	26,866
26 01 - სამინისტროს აპარატი	33,490	15,031	18,459
26 02 - საქ. პროკურატურა	34,924	34,254	670
26 03 - სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	7,629	5,261	2,368
26 04 - სსიპ - საქ.იუსტიციის სასწავლო ცენტრი	2,155	3,185	(1,030)
26 05 - სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო	2,333	2,135	197
26 06 - სსიპ - სმართ ლოჯიკი	2,442	2,320	121
26 07 - სსიპ - დანაშ. პრევ. ცენტრი	1,506	1,105	401
26 08 - სსიპ - სახ. სერვ. განვ.სააგენტო	9,741	2,767	6,973
26 09 - სსიპ - იუსტიციის სახლი	497	442	54
26 10 - სსიპ - საქ.საკანონმდებლო მაცნე	384	0	384
26 11 - სსიპ - საჯარო რეესტრის ერ. სააგ.	0	1,733	(1,733)
26 12 - სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	0	0	0

წინა წელთან შედარებით გადასახდელების ზრდის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ (6,973 ათასი ლარით). მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ 2014 და 2015 წლის ხარჯები გაწეულია სხვადასხვა საგრანტო პროექტების ფარგლებში, დონორის მიერ შედგენილი აქტივობების და გრაფიკის მიხედვით. ასევე, 2015 წელს საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობებზე გაწეული ხარჯი 2014 წელს ფინანსდებოდა საკუთარი სახსრებით.

- შრომის ანაზღაურება და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2015 წელს გაწეული საკასო ხარჯის ცვლილება (ზრდა/კლება) 2014 წელს გაწეულ საკასო ხარჯთან მიმართებაში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)	ბიუჯეტი			ბიუჯეტი + საკუთარი		
დასახელება	გადახდა- 15წ. ბიუჯ.	გადახდა- 14წ. ბიუჯ.	(+ზრდა,- კლება)	გადახდა- 15წ. ბიუჯ.+საკ.	გადახდა- 14წ. ბიუჯ.+საკ.	(+ზრდა,- კლება)
1	2	3	4	5	6	7
26 00 - იუსტიციის სამინისტრო	42,142	38,319	3,823	99,848	87,895	11,953
შრომის ანაზღაურება	38,343	35,659	2,684	82,543	76,601	5,942
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	3,799	2,660	1,139	17,305	11,294	6,011
26 01 - სამინისტროს აპარატი	4,408	4,341	67	4,408	4,341	67
შრომის ანაზღაურება	4,119	4,068	51	4,119	4,068	51

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	289	273	16	289	273	16
26 02 - საქ. პროკურატურა	26,436	25,410	1,026	26,436	25,410	1,026
შრომის ანაზღაურება	25,721	24,743	978	25,721	24,743	978
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	715	667	48	715	667	48
26 03 სსიპ - საქ.ეროვნული არქივი	4,026	3,418	608	4,999	4,228	771
შრომის ანაზღაურება	4,026	3,418	608	4,406	3,767	639
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	593	461	132
26 04 სსიპ - საქ.იუსტ. სასწ. ცენტრი	1,137	829	308	1,560	891	669
შრომის ანაზღაურება	787	507	280	787	507	280
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	350	322	28	773	384	389
26 05 სსიპ - მონაგ. გაცვ. სააგენტო	1,474	1,297	177	1,474	1,385	89
შრომის ანაზღაურება	1,458	1,244	214	1,458	1,332	126
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	16	53	-37	16	53	-37
26 06 - სსიპ - სმართ ლოჯიკი	1,521	1,151	370	1,521	1,276	245
შრომის ანაზღაურება	1,333	1,079	254	1,333	1,195	138
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	188	72	116	188	81	107
26 07 - სსიპ - დანაშ. პრეგ. ცენტრი	998	674	324	1,007	674	333
შრომის ანაზღაურება	882	599	283	882	599	283
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	116	75	41	125	75	50
26 08 სსიპ - სახ. სერგ. განვ.სააგენტო	1,968	1,199	769	18,814	16,645	2,169
შრომის ანაზღაურება	0	0	0	10,874	10,287	587
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1,968	1,199	769	7,940	6,358	1,582
26 09 -სსიპ - იუსტიციის სახლი	0	0	0	10,613	8,158	2,455
შრომის ანაზღაურება	0	0	0	9,597	7,723	1,874
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	1,016	435	581
26 10 - სსიპ - საქ.საკანონმ. მაცნე	174	0	174	918	872	46
შრომის ანაზღაურება	17	0	17	641	744	-103
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	157	0	157	277	128	149
26 11 - სსიპ - საჯარო რეესტ. ერ. სააგ.	0	0	0	20,394	18,099	2,295
შრომის ანაზღაურება	0	0	0	16,443	16,278	165
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	3,951	1,821	2,130
26 12 - სსიპ - აღსრულების ერ. ბიურო	0	0	0	7,706	5,916	1,790
შრომის ანაზღაურება	0	0	0	6,282	5,358	924
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	0	0	0	1,424	558	866

2015 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანიზაციების „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 82,543 ათასი ლარი. მათ შორის საბიუჯეტო სახსრებიდან - 38,343 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯი გაზრდილია სულ 5,942 ათასი ლარით. მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით - 2,684 ათასი ლარით.

„შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17,305 ათასი ლარი. მათ შორის საბიუჯეტო სახსრებიდან - 3,799 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 5,260 ათასი ლარი, მათ შორის საბიუჯეტო სახსრებიდან - 6,011 ათასი ლარი.

სულ „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლიდან/ქვემუხლიდან გაწეული საკასო ხარჯი გაზრდილია 11,953 ათასი ლარით, აქედან საბიუჯეტო სახსრებიდან-3,823 ათასი ლარით.

საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯის ცვლილების (წინა წელთან შედარებით +ზრდა,-კლება) ჩაშლა ქვემუხლებად წარმოდგენილია პროგრამული კოდების მიხედვით:

(ათას ლარებში)										
ბიუჯეტი (+ზრდა/- კლება)	26 00	26 01	26 02	26 03	26 04	26 05	26 06	26 07	26 08	26 10
შრ. ანაზღაურება	2,683	51	978	608	280	213	254	283	0	17
რიცხოვნობა-14წ	1,465	156	775	372	37	34	40	51	0	0
რიცხოვნობა-15წ	1,532	154	816	367	54	36	48	57	0	0
თ/ს	1,984	6	602	709	233	104	103	227	0	0
პრემია	-3,324	-325	-3,479	142	47	109	115	50	0	17
დანამატი	4,023	370	3,854	-244	0	0	36	6	0	0
შტატგ-თა ანაზღ-ბა	1,138	16	48	0	28	-37	116	41	769	157
რიცხოვნობა-14წ	175	24	47	0	32	4	11	17	0	0
რიცხოვნობა-15წ	169	20	45	0	28	4	17	20	35	0
თ/ს	1,017	-21	14	0	29	-37	104	36	769	157
პრემია	119	37	32	0	-1	0	11	5	0	0
დანამატი	2	0	2	0	0	0	0	0	0	0

შრომის ანაზღაურების გაზრდა 01 და 02 კოდზე გამოწვეულია ძირითადად დანამატის გაზრდით (პრემია შემცირებულია, სანაცვლოდ დანამატები მეტად არის გაზრდილი), ასევე 02 კოდზე თ/სარგოს 601.9 ათასი ლარით ზრდით, ხოლო 03,04,05,06,07 კოდებზე გაზრდილია როგორც თ/ს, ასევე პრემია. დანამატი გაზრდილია 06-ზე და 07 კოდებზე.

(ათას ლარებში)											
საკუთარი (+ზრდა/-კლება)	26 00	26 03	26 04	26 05	26 06	26 07	26 08	26 09	26 10	26 11	26 12
შრ. ანაზღაურება	3,258	31	0	(88)	(115)	0	587	1,873	(119)	165	924
თ/ს	2,072	0	0	0	0	0	141	1,356	(43)	0	617
პრემია	961	31	0	(88)	(100)	0	166	559	(76)	164	305
დანამატი	226	0	0	0	(15)	0	280	(42)	0	1	1
შტატგ-თა ანაზღ-ბა	4,872	131	361	0	(9)	9.2	813	580	(9)	2,129	865
თ/ს	3,688	102	337	0	(7)	9.2	350	454	(23)	1747	717
პრემია	916	29	24	0	(2)	0	255	65	14	382	148
დანამატი	268	0	0	0	0	0	208	61	0	0	0

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის პრინციპების დაცვის შესაძლებლობის შემთხვევაში დაზოგილი იქნებოდა დაახლოებით 3,823 ათასი ლარის საბიუჯეტო ასიგნება, ხოლო საკუთარი სახრებიდან - 8,130 ათასი ლარი (სულ: 11,953 ათასი ლარი).

• „საქონელი და მომსახურების“ ზოგიერთი ქვემუხლით გაწეული ხარჯების შედარება წინა წელთან

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში მითითებული ხარჯების ზოგიერთი კატეგორიების მიხედვით ასიგნებების შემცირება წინა წელთან შედარებით რიგ შემთხვევებში არ განხორციელებულა.

ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვემუხლების მიხედვით ასიგნებების ცვლილება წარმოდგენილია ცხრილის სახით:

		(ათას ლარებში)					
კოდი	დასახელება	ბიუჯეტი			ბიუჯეტი + საკუთარი		
		გადახდა- 15წ. ბიუჯ	გადახდა- 14წ. ბიუჯ	სხვაობა %-ში (+ზრდა,- კლება)	გადახდა- 15წ. ბიუჯ+საკ	გადახდა- 14წ. ბიუჯ+საკ	სხვაობა %-ში (+ზრდა,- კლება)
26 01 - სამინისტროს აპარატი	საოფ. ტექ. ინვ. მანქ/დან. მოვ/შენ, ექსპ. და მ/რემ. ხარჯი	104	76	36	104	76	36
	წარმომადგენლობითი ხარჯები	212	120	76	212	120	76
	რბ.ინვ. და უნიფ. შეძ.	9	6	43	9	6	43
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	139	141	-1	139	141	-1
26 02 - საქ. პროკურორატურა	მც. საოფ. ტექ. შეძ. მონტ/დემონტ.	171	162	5	171	162	5
	საოფ. ტექ. ინვ. მანქ/დან. მოვ/შენ, ექსპ. და მ/რემ. ხარჯი	322	239	34	322	239	34
	წარმომადგენლობითი ხარჯები	163	199	-18	163	199	-18
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	1,624	1,742	-7	1,624	1,742	-7
26 03 - სსიპ - საქ.ეროვნული არქივი	ოფის. საკ.საგ. და მასალ. შეძენის ხარჯი	40	34	20	69	62	11
	წარმომადგენლობითი ხარჯები	49	18	167	118	23	402
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	35	31	14	35	31	14
26 04 - იუსტ. სასწ. ცენტრი	მივლინება	29	26	14	57	33	121
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	31	28	11	39	28	40
26 05 -მონაც. გაცვ. სააგ.	მც. საოფ. ტექ. შეძ. მონტ/დემონტ.	8	5	64	8	5	64
	წარმომადგენლობითი ხარჯები	4	3	48	23	3	761
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	5	5	12	5	5	12
26 06 - სსიპ - სმართ ლოჯიკი	წარმომადგენლობითი ხარჯები	3	2	47	3	2	47
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	10	6	68	10	6	68
26 07 - დანაშ. პრევენტ. ცენტრი	მივლინება	36	25	43	36	25	43
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის	15	11	37	15	11	-100

	ხარჯი						
26 09 -სსიპ - ოფსტიციის სახლი	მივლინება	0	0	0	132	101	31
	საოფ. ინვენ. შეძ. და დამონ. ხარჯი	0	0	0	146	115	27
	ოფის. საჭ.საგ. და მასალ. შეძენის ხარჯი	0	0	0	19	13	53
	საოფ. ტექ. ინვ. მანქ/დან. მოვ/შენ, ექსპ. და მ/რემ. ხარჯი	0	0	0	1,094	839	30
	წარმომადგენლობითი ხარჯები	0	0	0	324	128	153
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	0	0	0	61	37	63
26 11 -საჯარო რეესტ. ერ. სააგ.	მც. საოფ. ტექ. შეძ. მონტ/დემონტ.	0	0	0	459	198	132
	ოფის. საჭ.საგ. და მასალ. შეძენის ხარჯი	0	0	0	64	60	7
	საოფ. ტექ. ინვ. მანქ/დან. მოვ/შენ, ექსპ. და მ/რემ. ხარჯი	0	0	0	89	0	100
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	0	0	0	125	49	153
26 12- აღსრ. ერ. ბიურო	მივლინება	0	0	0	44	40	9
	საოფ. ინვენ. შეძ. და დამონ. ხარჯი	0	0	0	133	38	254
	საოფ. ტექ. ინვ. მანქ/დან. მოვ/შენ, ექსპ. და მ/რემ. ხარჯი	0	0	0	49	0	100
	წარმომადგენლობითი ხარჯები	0	0	0	47	15	213
	რბ.ინვ. და უნიფ. შეძ.	0	0	0	70	27	160
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	0	0	0	313	251	25

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილია დასაბუთებული არგუმენტები ზემოაღნიშნულ განკარგულებაში მითითებული პრინციპების დაცვის შეუძლებლობაზე, აღნიშნული პრინციპების გათვალისწინების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარჯავ დაწესებულებას, თითოეულ პროგრამულ კოდთან მიმართებაში, დასაბუთება უნდა წარედგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, რასაც სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნული პრინციპების დაცვის შესაძლებლობის შემთხვევაში დაზოგილი იქნებოდა დაახლოებით 700 ათასი ლარის საბიუჯეტო ასიგნება, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 1,400 ათასი ლარი. სულ - „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ჩათვლით კი სამინისტროს სისტემის ფარგლებში დაზოგილი იქნებოდა დაახლოებით 14 მლნ. ლარი.

2014-2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

ინფორმაცია 2014 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში

შესყიდვის საშუალება	რაოდენობა	გადახდა-2014წ
ტენდერი-2013(ერთწლიანი ხელშ)	9	262.76
ტენდერი-2014(ერთწლიანი ხელშ)	44	477.47
ტენდერი (მრავალწლიანი ხელშ)-2014	2	42.21
ტენდერი(მრავალწლიანი ხელშ)-2013	2	1.69
ტენდერი(მრავალწლიანი ხელშ)-2012	1	0.08
კონსოლიდირებული ტენდერი-2013	2	21.27
კონსოლიდირებული ტენდერი-2014	7	253.77
გამარტივებული (ხელშეკრულებით)	112	744.34
ხელშეკრულების გარეშე ³¹	78	74.42
სულ	179	1,803.59

ინფორმაცია 2015 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ათას ლარებში

შესყიდვის საშუალება	რაოდენობა	გადახდა-2015
ტენდერი 2014	7	204.36
ტენდერი 2015	31	524.87
ტენდერი(მრავალწლიანი)-2015	1	80.99
ტენდერი(მრავალწლიანი)-2014	2	2.83
ტენდერი(მრავალწლიანი)-2013	1	0.10
კონსოლიდირებული ტენდ-2015	9	63.55
კონსოლიდირებული ტენდ(მრავალწლიანი, 2013)	3	49.91
კონსოლიდირებული ტენდ(მრავალწლიანი, 2015)	3	161.40
გამარტივებული(ხელშეკრულებით-2015)	160	629.36
გამარტივებული(ხელშეკრულების გარეშე-2015)	107	121.89
გამარტივებული(ხელშეკრულებით-2014)	3	2.15
სულ	327	1,841.39

³¹ ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადები და წარმომადგენლობითი ხარჯები

2015 წლის ასიგნებების ფარგლებში (გაფორმებული ხელშეკრულებებით) 1,044 ათასი ლარის შესყიდვა განხორციელებულია სამართლებრივი აქტების, ერთობლივი და მრავალწლიანი შესყიდვების საფუძველზე, რაც მთლიანი შესყიდვების 56%-ს შეადგენს (მათ შორის 479 ათასი ლარის შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით).

გამარტივებული ფორმით სულ განხორციელებულია 270 ერთეული 762,75 ათასი ლარის შესყიდვა, საიდანაც:

- 254.8 ათასი ლარი, (32%) მოდის საქართველოში 2015 წლის 3-4 ივნისს ღია მმართველობის პარტნიორობის (*Open Government Partnership-OGP*) რეგიონული კონფერენციის ორგანიზებისთვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის #888 განკარგულების³² საფუძველზე (მათ შორის გაწეულია წარმომადგენლობითი ხარჯი);
- 167.15 ათასი ლარი(22%) მთავრობის სხვადასხვა განკარგულებების(გარდა ზემოთაღნიშნული განკარგულებებისა) საფუძველზე განხორციელებული შესყიდვებია და ძირითადად მოიცავს ტრეინინგით უზრუნველყოფის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით უზრუნველყოფის, საინფორმაციო და ანალიტიკური მასალების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის და საინფორმაციო საშუალებებში განთავსების, ასევე, საკომუნიკაციო მომსახურებებს;
- წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის განხორციელებულია 143,16 ათასი ლარის შესყიდვა(21%), გარდა ზემოაღნიშნული რეგიონული კონფერენციის და 26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯებისა;
- 85,85 ათასი ლარი ავტომობილების ტექმომსახურებისთვის დადებული ხელშეკრულებებია (განხორციელებული შესყიდვების 11%), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;
- 27,74 ათასი ლარი წარმოადგენს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადებს(4%);
- 17,91 ათასი ლარი(2%) გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმებული ხელშეკრულებებია;
- 14.22 ათასი ლარი (2%) მოიცავს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის-26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში სამინისტროს საინფორმაციო და გასართობი კუთხის მოწყობის მიზნით სხვადასხვა მომსახურების შესყიდვებს, რომელიც გამარტივებული ფორმით განხორციელებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მაისის #907 განკარგულების საფუძველზე;

³² „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით“.

გამარტივებული ფორმით განხორციელებული დანარჩენი შესყიდვები მოიცავს-ექსკლუზიური უფლებამოსილების, ასევე, მონეტარული ზღვრების დაცვის საფუძველზე განხორციელებულ შესყიდვებს.

შესყიდვების მართვის პროცესში გამოვლენილი გარემოებები

ქვემოთ ჩამოთვლილი შესყიდვების ფორმით სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში სასაჩუქრედ შეძენილია მატერიალური ფასეულობები და შესაბამისად ხარჯი გაწეულია სწორედ იმ მუხლებიდან, რომელზედაც ზემოაღნიშნული განკარგულებით მოითხოვებოდა ხარჯების გაწევის შეზღუდვა. აღნიშნული ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი აუდიტის მიმდინარეობისას კვლავ ირიცხებოდა საწყობში ნაშთად. კერძოდ:

- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150024856) გამარჯვებულ შპს „აუტოსიტას“ და სამინისტროს შორის 1650 ცალი ბრენდირებული მაისურის შესყიდვაზე 2015 წლის 7 ოქტომბერს გაფორმდა #2015/170 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 8,382 ლარი (ერთი მაისურის ღირებულება-5.08 ლარი), რაც 16,300 ლარის სავარაუდო ღირებულებაზე 48.6%-ით ნაკლებია (ერთი მაისურის ღირებულება-9.87 ლარი).

ტანსაცმელი შემოსავალში აღებულია 2015 წლის 7 და 13 ოქტომბერს (შესაბამისად 240 და 1410 ცალი). 2016 წლის 30 მარტის მდგომარეობით 1450 ცალი მაისური ირიცხება საწყობში ნაშთად.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ივნისსა და აგვისტოში წარმომადგენლობითი ხარჯების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით შეძენილია³³ 3100 ლარის ღირებულების 250 ცალი ბრენდირებული მაისური, საიდანაც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 245 ცალი მაისური კვლავ ირიცხება საწყობში ნაშთად, ხოლო 2016 წლის 30 მარტისთვის - 117 ერთეული.

- გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150025117) გამარჯვებულ შპს „ზებრასა“ და სამინისტროს შორის 1500 ცალი ბრენდირებული ნაჭრის ჩანთების შესყიდვაზე 2015 წლის 2 ოქტომბერს გაფორმდა #2015/169 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 8,445 ლარი (ერთი ჩანთის ღირებულება-5.63 ლარი) – 15,000 ლარის სავარაუდო ღირებულებაზე - 44%-ით ნაკლები (ერთი ჩანთის ღირებულება-10 ლარი). ფასეულობები შემოსავალში აღებულია 2,7,19 ოქტომბერს. 2016 წლის 30 მარტის მდგომარეობით 1200 ცალი ჩანთა კვლავ ირიცხება საწყობში ნაშთად.

³³ ხელშეკრულება ## 2015/130 და 2015/153

- გამარტივებული შესყიდვის ფორმით შპს „საქართველოს პროდუქტებიდან“ 2015 წლის 27 მაისს შეძენილი 99 ერთეული „ხანჯალი და ცული“ 2016 წლის 30 მარტის მდგომარეობით კვლავ ნაშთად ირიცხება. ასევე, 100 ერთეული „დიდი და საშუალო სუფრებიდან“ იმავე პერიოდისთვის ნაშთად ირიცხება 49 სუფრა.

სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნები რიგ შემთხვევაში ჩამოყალიბებულია იმდაგვარად, რომ შესაძლოა მიანიშნებდეს კონკრეტულ მიმწოდებელზე, რაც ტენდერში მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობაში გამოიხატებოდა, მაგალითად:

შპს „არქთრეიდი“ – (SPA150031631-ავეჯის შესყიდვაზე - შესყიდვის გამოცხადების თარიღი 26.11.2015- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 33,850 ლარი). მოთხოვნაში ყველა ავეჯზე მითითებულია ფერი (სავარძელი, კარადა, მაგიდა და ა.შ.). იგივე პირობებით აღნიშნული ავეჯის შესყიდვაზე 2015 წლის 29 სექტემბერს და 6 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერებიდან, ერთი ტენდერი არ შედგა (SPA150026390), მეორე დასრულდა უარყოფითი შედეგით (SPA150029765), ამ შემთხვევაშიც მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი შპს „არქთრეიდი“. ანალოგიური მოთხოვნებით აღნიშნული ავეჯის შესყიდვაზე 2014 წლის 2 აპრილს დამოცხადებულ ტენდერში (SPA140009078) გამარჯვებულია ასევე შპს „არქთრეიდი“. ყველა შემთხვევაში პრეტენდენტის ფოტომასალა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მასალა იდენტურია. ანალოგიურად, 2014 წელს გამოცხადებულ ტენდერშიც (SPA140009078) იგივე მოთხოვნების პირობებშიც გამარჯვებულია შპს „არქთრეიდი“.

შპს „პაბლისის დიალოგი“ - (2015წ. SPA150008718-ერთი საინფორმაციო სატელევიზიო რგოლის დამზადებაზე-ხელშეკრულება #2015/84) ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოთხოვნილია, რომ 2013-2014 წლების განმავლობაში დამზადებული რგოლების ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 500,000 ლარს;

2014 წელს ორი ცალი პლანშეტური კომპიუტერის შესყიდვაზე სატენდერო დოკუმენტაციით³⁴ მოთხოვნილია როგორც კომპიუტერის, ასევე კომპიუტერის ჩასადების ფერიც. ამ შემთხვევაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. გამარჯვებულია შპს „აეროსოფტი“.

³⁴ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი - SPA140005722.

აუდიტის ჯგუფის წევრები:	თარიღი	ხელმოწერა
მთავარი აუდიტორი მანანა დავითური	<u>13.06.2016</u>	<u>მ. დავითური</u>
აუდიტორი ლევან შუბითიძე	<u>13.06.2016</u>	<u>[Signature]</u>
აუდიტორ-ასისტენტი არჩილ ამირხანაშვილი	<u>13.06.2016</u>	<u>ა. ამირხანაშვილი</u>
აუდიტორ-ასისტენტი შორენა არღვლიანი	<u>13.06.2016</u>	<u>შ. არღვლიანი</u>
აუდიტორ-ასისტენტი ელენე ტუსკია	<u>13.06.2016</u>	<u>ე. ტუსკია</u>
აუდიტორ-ასისტენტი ვახტანგ ჭელიძე	<u>13.06.2016</u>	<u>ვახტანგ ჭელიძე</u>